ინსტრუქციები

- პლანეტარიუმის გუმბათის შესასვლელთან გადმოგეცათ შემდეგი ნივთები:
    1. საფოსტო კონვერტი, რომელზეც აღნიშნულია **B**.
    2. ჩანთა, რომელშიც მოთავსებულია წამზომი, თავის ფანარი და მწვანე კალამი.
    3. საწერი დაფა
- გთხოვთ, შეამოწმოთ მონაწილის კოდი, რომელიც დაბეჭდილია კონვერტზე **B**.
- კითხვების ფურცელი, ორი ცის რუკა და Summary Answersheet-ები მოთავსებულია პატარა კონვერტში **S**. **თქვენ შეგიძლიათ გახსნათ ეს კონვერტი (S) მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოცდის დაწყების ნიშნად სასტვენი დაისტვენს.** გამოცდის დრო (1 საათი) იწყება ამ მომენტიდან.
- ამ გამოცდაში არის ორი კითხვა: OP01 და OP02. თქვენ გექნებათ **15 წუთი** კითხვების ფურცლის წასაკითხად და წინასწარი გეგმის შესადგენად. ამ დროს პლანეტარიუმის გუმბათში განათება იქნება ჩართული.
- როდესაც განათება ჩაქრება, გთხოვთ გამოიყენოთ თავის ფანარი რაც შეიძლება დაბალ რეჟიმზე, რათა არ შეუშალოთ ხელი სხვა კონკურსანტებს.
- კითხვა OP01-ის დრო არის **15 წუთი**:
    - სიბნელესთან ადაპტაცია და ცის გაცნობა: 3 წუთი
    - მთავარი დავალება: 12 წუთი
- კითხვა OP02-ის დრო არის **10 წუთი**.
- სასტვენი დაისტვენს თითოეული კითხვის დასაწყისსა და დასასრულზე.
- კითხვებს შორის იქნება **2 წუთიანი** შესვენება.
- დარჩენილი დრო თითოეული კითხვისთვის გამოჩნდება გუმბათზე ყოველ წუთში. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება.
- პროექციის დასასრულს, განათება კვლავ ჩაირთვება და თქვენ გექნებათ **18 წუთი** პასუხების დასასრულებლად.
- თუ თქვენ იყენებთ ფანქარს რაიმეს აღსანიშნავად ან დასახატად, გთხოვთ, მწვანე კალმით (რომელიც თქვენს ჩანთაშია) გადააწეროთ, რათა ნახერი უფრო გარკვევადი იყოს.
- გამოცდის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ადგეთ თქვენი ადგილიდან და/ან შემობრუნდეთ. თუმცა, არ გაქვთ უფლება დატოვოთ თქვენი ადგილი.
- გამოცდის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოთ სრული სიჩუმე.
- გამოცდის მიმდინარეობა შემდეგნაირია:

განათება ჩართულია	15 წთ	კითხვების წაკითხვა და გეგმის შედგენა
განათება გამორთულია:	27 წთ 20 წმ	პროექცია გუმბათზე
დრო (წთ:წმ)	**ხანგრძლივობა**	**პროექცია**
00:00 – 00:10	10 წმ	კითხვა OP01-ის ეტიკეტი გუმბათზე
00:10 – 15:10	15 წთ	პროექცია კითხვაზე OP01
15:10 – 17:10	2 წთ	შესვენება
17:10 – 17:20	10 წმ	კითხვა OP02-ის ეტიკეტი გუმბათზე
17:20 – 27:20	10 წთ	პროექცია კითხვაზე OP02
განათება ჩართულია	18 წთ	გამოთვლა და დასკვნა

- **გამოცდის დასასრულს:**
  - შეამოწმეთ, რომ სწორად გაქვთ დაწერილი თქვენი მონაწილის კოდი და გვერდების ნომრები ყველა გამოყენებულ ფურცელზე.
  - დაალაგეთ თქვენი ფურცლები შემდეგი თანმიმდევრობით:
    Summary Answersheet (OP01), ცის რუკა Map-OP01, სამუშაო ფურცელი(ები) გამოყენებული (OP01)-ისთვის, შეჯამების პასუხების ფურცელი (OP02), ცის რუკა Map-OP02, სამუშაო ფურცელი(ები) გამოყენებული (OP02)-ისთვის.
  - მოათავსეთ ზემოთ აღნიშნული ფურცლების შეკვრა პატარა კონვერტში **S**. ორივე შეჯამების პასუხების ფურცელი უნდა მოთავსდეს კონვერტში **S** მიუხედავად იმისა, გამოიყენეთ თუ არა ისინი.
  - **მხოლოდ პატარა კონვერტის S შიგთავსი შეფასდება. ნებისმიერი ფურცელი, რომელიც არ მოთავსდება ამ კონვერტში, არ შეფასდება.**
  - მოათავსეთ პატარა კონვერტი **S** დიდ კონვერტში **B**.
  - ყველა სხვა ფურცელი, კერძოდ, ინსტრუქციის ფურცელი(ები), კითხვების ფურცელი(ები), მონაცემების ფურცელი(ები) და გამოუყენებელი სამუშაო ფურცელი(ები) უნდა მოთავსდეს პირდაპირ დიდ კონვერტში **B**.
  - შეაბით ძაფის ბეჭედი კონვერტზე **B**.
  - მოათავსეთ თავის ფანარი, წამზომი და მწვანე კალამი ჩანთაში.
  - გაიტანეთ კონვერტი **B**, საწერი დაფა და ჩანთა გასასვლელთან და ჩააგდეთ მათთვის განკუთვნილ ყუთებში.